სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/26

ქ. თბილისი 3 აპრილი 2019

სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის გამოცხადებისა და მისთვის დამატებითი პირობების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის 01-05-04/374 და 2019 წლის 22 მარტის №01-05-04/63 დადგენილებებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3 აპრილის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:

	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილება			
1	მეცნიერი თანამშრომელი	1	ინფორმატიკოსი, პროგრამისტი გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ბოლო სამი წლის მანძილზე 1 სამეცნიერო ნაშრომი მაინც

3. ჭავჭანიძის სახელობის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილება			
1	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	1	მათემატიკოსი, პროგრამისტი
2	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	0,5	საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი **უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:** გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), რომელთაგან 1 მაინც რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებში ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში

2. ასევე, დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის დამატებითი პირობები ქვემოთ მითითებულ სამეცნიერო თანამდებობაზე:

	თანამდებობა	საშტატო ერთეული	დამატებითი მოთხოვნები
	ოპტიმალური მართვის პრობლემების განყოფილება		
1	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	0,5	მათემატიკოსი **უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:** გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), მათგან 1 მაინც უნდა იქნეს გამოქვეყნებული რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებში ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**